ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

III ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

ტერმინი ალპინიზმი ალპების სახელწოდებიდან მომდინარეობს. ეს არის სპორტის სახეობა რისი მიმდევრების მიზანი ძნელად მისადგომი მწვერვალების დაპყრობაა. ადამიანმა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში დაიწყო მთების დალაშქვრა სხვადასხვა საჭიროებისათვის. ეთნოგრაფიულ მასალებით დასტურდება, რომ კავკასიელი ხალხები, მათ შორის ქართველები უძველესი დროიდან ფართოთ იყენებდნენ მთაში სიარულისათვის საჭირო აღჭურვილობას რკინის პალოებს, წერაყინსა და სხვ.

თანამედროვე ალპინიზმს სათავე ჩაუყარეს შვეიცარიელმა გლეხმა ჟაკ ბალმამ და ფრანგმა ექიმმა მიშელ-გაბრიელ პაკარმა რომლებიც 1786 წელს მონბლანზე ავიდნენ. ამას მოყვა ალპინიზმის სწრაფი განვითარება, შეიქმნა მთამსვლელთა გაერთიანებები – ალპური კლუბები. 1857 წლიდან ასეთი კლუბები ჯერ ლონდონში, შემდეგ კი ევროპის, ამერიკისა და აზიის არაერთ ქვეყნებში გაჩნდა. თბილისის ალპური კლუბი, რომელიც 1877 წელს დაარსდა პირველი იყო რუსეთის იმპერიაში.

ქართული ალპინიზმის ისტორია ოფიციალურად 1923 წლიდან იწყება როცა მყინვარწვერი დალაშქრა პროფესორი გიორგი ნიკოლაძის თვრამეტ კაციანმა ჯგუფმა. გამარჯვებულთა შორის ხუთი ქალი იყო. ქართველი მთამსვლელები პირველები ავიდნენ კავკასიონის, პამირისა და ტიან-შანის მრავალ მწვერვალზე და ბევრი ურთულესი მარშრუტი გაკვალეს.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი „ვეფხისტყაოსნიდან“:

„მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა.
მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა;
შეიქმნა გასლვა შიგანთა, ჯარია მუნ ხასებისა,
დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა.

მე დავშვერ, ვითა წესია საურავ-გარდახდილისა,
შინა წამოვე, მაშვრალსა ქმნა მომნდომოდა ძილისა;
მონა მოვიდა, მომართვა წიგნი ასმათის ტკბილისა:
„ადრე მოდიო, გიბრძანებს მსგავსი ალვისა ზრდილისა“.

ცხენისაგან არ გარდავხე, წავე ფიცხლად, დავჰმორჩილდი;
ქალი დამხვდა ნატირები, ვჰკითხე: „ცრემლსა რასა ჰმილდი?“
მითხრა: „შენი შესწრობილი ტირილსამცა ვით ავსცილდი!
გაუწყვედლად ვით გამართლო? რაგვარადმცა გავვაქილდი?“

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

შევედით, ვნახე ბალიშსა ზედა წარბ-შერჭმით მჯდომარე;
მზე ვეღარას იქმს მის მეტსა, მას განენათლა რომ არე;
წავდეგ, მიბრძანა: „რასა სდგა? დღე მიგიჩს წინ საომარე!
ანუ გამწირე, მიტყუე და კვლაცა მოიმცთომარე?“

მე მეწყინა, აღარა ვთქვი, ფიცხლად გარე შემოვბრუნდი,
უკუვჰყივლე: „აწ გამოჩნდეს, არ მინდოდეს, ვისცა ვუნდი!
ქალი ომსა რაგვარ მაწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი!“
შინა მოვე, მოკლვა მისი დავაპირე, არ დავყმუნდი.

ასსა ვუბრძანე მონასა: „საომრად დაემზადენით!“
შევსხედით, გავვლეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით.
კარავსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ზარ-მაც თქმად ენით!
უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლთა დადენით.

კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაქარაბაკე,
ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე.
წინა მწოლთა დაიზახნეს, გლოვა მიჰხვდა საარაკე;
ცხენსა შევჯე, წამო-ცა-ვე; ჯაჭვი მეცვა საკურტაკე.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწევარი,
წამოვე, წევნა დამიწყეს, დავხოცე ჩემი მდევარი.
ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
მუნ შიგან შევე მშვიდობით, ამოდ იგივე მე ვარი!

კაცნი გავგზავნენ, ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყველასა:
„აქა მომმართეთ, ვინცაღა ჩემსა იქმოდეთ შველასა!“.
არ გაწყდა მოსლვა მდევართა ღამესა დია ბნელასა,
ჩემი რა ცნიან, სცვიდიან თავებსა მათსა მრთელასა.

ცისკრად ავდეგ, შევეკაზმე, რა გათენდა ღამე დილად,
ვნახენ სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად;
ებრძანა, თუ: „ღმერთმან იცის, გამეზარდე ვითა შვილად,
ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმილად?

ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?
მე, ბერსა, შენსა გამზრდელსა სიცოცხლე მაარმებინე,
დღედ სიკვდილამდის შენიცა თავი არ მაახლებინე!“

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

მე შევუთვალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა,
თვარა რად მიშლის სიკვდილსა ცეცხლი სირცხვილთა ალისა?
მაგრა, თვით იცით, ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა,
მე, თქვენმან მზემან, მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა!

იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია!
ერთიღა მე ვარ მემკვიდრე, - ყველაი თქვენ მოგხვდომია:
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია;
სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახვდომია!

ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ-მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გივის ერთაი ქალია,
ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!

შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე!
ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე.
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხვრიდე,
სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე!“

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რას აპირებდა ტარიელი სასიძოს დაბინავების შემდეგ?

ა) ინდოელ დიდებულებთან შეხვედრას.
ბ) ლაშქრის შეკრებასა და მომზადებას.
გ) მეფისათვის ანგარიშის ჩაბარებას.
დ) სახლში წასვლასა და დასვენებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 3. **რატომ ეუბნება ასმათი ტარიელს:** *„გაუწყვედლად ვით გამართლო? რაგვარადმცა გავვაქილდი?“?*

ა) რადგან ამირბარი საკუთარ უფლებებს აჭარბებდა.

ბ) რადგან ამირბარი სასახლის მკაცრ წესებს არღვევდა.

გ) რადგან ზოგჯერ განრისხებულ მეფესთან ექომაგებოდა.

დ) რადგან ნესტან-დარეჯანთან ხშირად ესარჩლებოდა.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე](#)

(1) 4. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „მზე ვეღარას იქმს მის მეტსა, მას განენათლა რომ არე“.
ბ) „ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გივის ერთაი ქალია“.
გ) „ცისკრად ავდეგ, შევეკაზმე, რა გათენდა ღამე დილად“.
დ) „ცხენისაგან არ გარდავხე, წავე ფიცხლად, დავჰმორჩილდი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 5. რას აბრალებდა ნესტან-დარეჯანი ტარიელს?

ა) რომ ინდოეთის სამეფოს მართვაში ეცილებოდა.

ბ) რომ სასიძოსთან დაპირისპირებას თავს არიდებდა.

გ) რომ ქვეყნის მტრებს ფარულად უკავშირდებოდა.

დ) რომ ხვარაზმშას ვაჟთან გარიგებას ცდილობდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 6. ტარიელის რა ემოციურ მდგომარეობას გამოხატავს სიტყვები: *„ქალი ომსა რაგვარ მაწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი!“*?

ა) გაღიზიანებას.

ბ) დაბნეულობას.

გ) სასოწარკვეთას.

დ) სიძულვილს.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე](#)

(1) 7. რა მხატვრული საშუალებაა: *„კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაქარაბაკე...“*?

ა) ალეგორია.
ბ) ალიტერაცია.
გ) გროტესკი.
დ) შედარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 8. რა გადაწყვიტა სასიძოს მოკვლის შემდეგ ტარიელმა?

ა) დიდებულები მოესყიდა და ფარსადანისათვის დაეპირისპირებინა.
ბ) მომხრეები შემოეკრიბა და თავის ციხე-ქალაქში გამაგრებულიყო.
გ) სასიძოს მოკვლის ამბავი ნესტან-დარეჯანისათვის ეცნობებინა.
დ) ხვარაზმელებთან საბრძოლველად ინდოეთის ლაშქარი გამოეყვანა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 9. მეფის აზრით, რატომ მოკლა ტარიელმა სასიძო?

ა) ინდოეთის სამეფოებად დაშლას აპირებდა.
ბ) ნესტან-დარეჯანის ცოლად შერთვა სურდა.
გ) ძალაუფლების ხელში ჩაგდებას გეგმავდა.
დ) ხვარაზმელებთან პირადი მტრობა ჰქონდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 10. **რას გამოხატავს ტარიელის სიტყვები:** *„ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხვრიდე...“*?

ა) მიტევებას.
ბ) მუქარას.
გ) სინანულს.
დ) შეშფოთებას.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე]

(1) 11. რაში ადანაშაულებს ტარიელი ფარსადან მეფეს?

ა) რომ ამირბარის თანამდებობაზე სხვის დანიშვნას აპირებს.

ბ) რომ ინდოეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრეობას ართმევს.

გ) რომ ინდოეთის ყველა სამეფოს ძალადობით დაეპატრონა.

დ) რომ ნესტან-დარეჯანთან დაქორწინებაში ხელს უშლის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. რამდენად გამართლებულია, რომ ადამიანი მიზნის მისაღწევად მორალური პრინციპების წინააღმდეგ წავიდეს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ნოდარ წულეისკირის მოთხრობიდან „ბარკლაი დე ტოლის სიზმრები“:

საღამოს ირროდიმ დიმიტრის ოთახში ადესა მოიტანა. დიმიტრის რძლისთვის დაერეკა, რძალს ვახშმის თადარიგი დროზე დაეჭირა... რძალმა სუფრა გაშალა... დიმიტრიმ ღვინო დოქით შემოიტანა და მაგიდაზე დადგა.

– ჩამოვასხამ, მამა, სირცხვილია. ამხელა დოქს სად დადგამთ?! – შეიცხადა რძალმა.

– აგერ დავდგამ, ა... შეხედეთ, რა ეშხიანი ყელი აქვს, როგორ დაამშვენა სუფრა.

–სად იშოვე ასეთი კარგი დოქი? – ჰკითხა დიმიტრიმ ირროდის.

– დოქიანად გამომიგზავნეს ადესა.

– ქრთამი ხომ არ არის, ირროდი. არ წამწყმიდო!..

– მამა, თუ არ გჭირდებით, მე წავალ, მეჩქარება, – უთხრა დიმიტრის რძალმა...

–წადი, შვილო, ხვალ გამოგივლით და მიხას წავიყვან ზოოპარკში.

რძალი წავიდა... მოხუცებმა თავი თეფშებში ჩარგეს...

– მოდი ახლა, გავიხსენოთ ჩვენი შემქმნელები, – დაიწყო დიმიტრიმ, – მამაზეციერივით სული რომ ჩაგვიდგეს, ამქვეყნად რომ მოგვიყვანეს. ჩვენს მშობლებს გაუმარჯოს!..

ირროდი ღვინოს წრუპავდა, თითქოს არომატს უსინჯავდა. წამით ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ჩუმად შეექცეოდნენ მოხუცები ტარანსა და ღომს. დიმიტრი წამოდგა, საიდანღაც წიგნივით სქელი ჟურნალი გამოაძვრინა, გაბერტყა, გაასუფთავა და სუფრასთან მოიტანა.

– რა წიგნია? – იკითხა ირროდიმ.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

– ერთიც დავლიოთ და გაიგებ, რა წიგნიცაა. მოდი, ის ხალხი გავიხსენოთ, ვისთანაც ხუთი წელიწადი ერთად გვეძინა, ერთად ვჭამდით და ვსვამდით, ერთად ვღვრიდით სისხლს. ეს ჩემი ბატალიონის ოფიცრების ჟურნალია. ყოველი მათგანის მისამართი, მათი ცხოვრების ისტორია შიგ მიწერია. ჩემი ბატალიონი მე ძალიან მიყვარდა. კარგი მეომრები იყვნენ, სულ ახალგაზრდები, ვერცხლისწყალივით ბიჭები, როგორც მოზარე მგლები არ უფრთხიან არც ყინვას, არც ქარბუქს, არც თოვლს, არც ტყესა და არც ღრეს, ისინიც არაფერს უფრთხოდნენ – ტყვიის არ ეშინოდათ, ტყვიას ეშინოდა მათი. რომ დამაწინაურეს, რატომღაც სხვა ფრონტზე გადამიყვანეს. დამეკარგნენ ჩემი ბიჭები. აი, ეს ჟურნალი შემრჩა. მათგან მხოლოდ ორნი გადავრჩით...

– ალი-ზადეს ხომ იცნობდი, – დაიწყო ახლა ირონდიმ, – თუ გახსოვს, ჩვენ ერთად წავედით თბილისიდან. თბილისელი ბიჭი იყო, სოლოლაკში ცხოვრობდა.

– ჰო, მგონი მახსოვს, – დიმიტრის არ ახსოვდა ალი-ზადე, მაგრამ მეგობარს ხათრი არ გაუტეხა.

– ძალიან კეთილი ბიჭი იყო, სწორედ ამ სიკეთემ დაღუპა. რუმინეთში ვართ, რუმინეთში... და უცებ მოვიდა ბრძანება, რომ შევწყვიტოთ შეტევა. მთის ფერდობზე სახელდახელოდ გადათხრილ სანგრებში ვსხედვართ. ჩვენს წინ გერმანელებია, ისინიც მთის ფერდობზე არიან გამაგრებულნი, შუაში ჩაგვიდის მდინარე... ნაბრძანები გვაქვს, გერმანელებს განძრევის საშუალება არ მივცეთ, არც ინძრევიან, ჩუმად სხედან სანგრებში. ჩვენ ვხედავთ მათ სანგრებს, მათ ტყვიამფრქვეევებს, თითქმის ყველაფერს ვხედავთ. ალბათ, ისინიც კარგად გვითვალთვალებენ. გასაოცარი ის არის, რომ არც ისინი ისვრიან, თუ ვინმემ სანგრიდან თავი ამოჰყო, მხოლოდ მაშინ დაიქუხებს შაშხანა, მაშინ აკაკანდება ტყვიამფრქვევი და ავტომატი. ეტყობა, დიდი სტრატეგიული ბრძოლაა – ჩვენ არაფერი ვიცით, ბრძანებას უსიტყვოდ ვასრულებთ და ველოდებით, რა მოხდება. რაც მთავარია, ისეთი პაპანაქება სიცხეა, იწვება, იხრუკება ქვეყანა... კიბორჩხალებივით დაბრაწულები ვართ. დაგვხუთა, დაგვაოსა სიცხემ. უცებ ვხედავთ, გერმანელების ერთი სანგრიდან ვიღაც ამოძვრა და ჩვენს დასანახად მიწაზე დაახეთქა შაშხანა, ზურგჩანთა, თვალისდახამხამებაში გაიძრო შარვალი, ბლუზა და სულ გაშიშვლდა კაცი.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

„ფანდი არ იყოს, ბიჭო!“ – ვაფრთხილებ ალი-ზადეს. „მოიცა, მგონი სასწაული ხდება“, – მეუბნება ალი-ზადე და გერმანელს შაშხანას უმიზნებს: „სად წაგვივა, ვუყუროთ ცოტა ხანს“. ჯარისკაცი დედიშობილა დაეშვა ფერდობზე, ხელი დაგვიქნია, თითქოს რაღაც გვანიშნაო, სირბილით მოვარდა მდინარესთან და ისე ხარბად დაეწაფა წყალს, ახლაც ყურში ჩამესმის იმ დალოცვილის ხარბი ყლარწაყლურწი. წყალს პეშვით სვამდა. დიდხანს იდგა და სვამდა. ჩვენ... ჩვენ ალი-ზადეს ველოდებით, მეთაური ის არის და არაფერს ამბობს, შაშხანას კი უმიზნებს.

გერმანელი ნელ-ნელა შევიდა მდინარეში. ცურვა არ ცოდნია, და ბავშვივით ჭყუმპალაობა დაიწყო ნაპირზე. ჰო, რა ამბავში იყო! რას ხტოდა და ტლინკაობდა! „ამ კაცს ჩვენ არ ვესროლოთ, სულერთია, ვიღაც ესვრის“, – თქვა ალი-ზადემ და შაშხანას ხელი გაუშვა. ეტყობა, სხვებმაც ასე იფიქრეს, „ვიღაც ესვრისო“ და არ ესროლეს. გერმანელმა ბანაობა დაამთავრა და აღმართს აუყვა, ჩვენ მოგვხედა და ხელი დაგვიქნია, „მშვიდობითო“. „ახლა ესვრიან მაგ უბედურს“, – ვუთხარი ალი-ზადეს შეწუხებულმა. ალი-ზადემ სხვა ოცეულების გასაგონად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყვირა: „არ ესროლოთ, ბიჭებო, ცოდვაა“. ამის თქმა და საიდანღაც ტყვიამ გაიზუზუნა. არ მიმიქცევია ყურადღება. შიშველ გერმანელს შევცქეროდი. მაინტერესებდა, გადარჩებოდა თუ არა, მიაღწევდა თუ არა სანგრამდე. „ხედავ, ალი-ზადე, გადარჩა, არავინ არ ესროლა!“ – შევძახე გახარებულმა. მოვიხედე და რას ვხედავ – ალი-ზადე სისხლში ცურავს. ტყვია შიგ შუბლში მოხვედრია. ომმა არ იცის პატიება. არ გესწავლება, ჩემო დიმიტრი, ომი გულკეთილებს სასტიკად სჯის... ასე უბრალოდ და უღმერთოდ მოკვდა ალი-ზადე! მართლა არაფერი არსებობს ამქვეყნად...

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რას ნიშნავს სიტყვები *„შეიცხადა რძალმა“?*

ა) აბუჩად აიგდო.
ბ) მოწიწება გამოხატა.
გ) უკმეხად უპასუხა.
დ) ძალიან გაიკვირვა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 3. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მონაკვეთში: *„დოქს სად დადგამთ?!.. – აგერ დავდგამ, ა... შეხედეთ, რა ეშხიანი ყელი აქვს“?*

ა) ალუზია.

ბ) ჰიპერბოლა.

გ) შედარება.

დ) გაპიროვნება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 4. დიმიტრის რა თვისებაზე მიუთითებს მისი სიტყვები: *„ქრთამი ხომ არ არის, იროდი. არ წამწყმიდო!“?*

ა) პატიოსნებაზე.
ბ) თვალთმაქცობაზე.
გ) ლმობიერებაზე.
დ) ამპარტავნობაზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 5. რის თქმა სურს დიმიტრის სიტყვებით: *„ხუთი წელიწადი ერთად გვეძინა“?*

ა) ლუკმა-პურს ერთად ვშოულობდით.

ბ) განუყრელი მეგობრები ვიყავით.

გ) უერთმანეთოდ არ ვიძინებდით.

დ) ყველაფერს თანაბრად ვინაწილებდით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. თანამებრძოლების რა თვისებას გამოხატავს დიმიტრის სიტყვები: *„ვერცხლისწყალივით ბიჭები“*?

ა) სისხარტეს.

ბ) დიდბუნებოვნებას.

გ) გონიერებას.

დ) წინდახედულობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რა აზრს გამოხატავს ირროდის მიერ ალი-ზადესათვის ნათქვამი სიტყვები: *„ფანდი არ იყოს, ბიჭო!“*?

ა) აბუჩად ხომ არ გვიგდებსო.

ბ) რამეს ხომ არ გვატყუებსო.

გ) დანებებას ხომ არ აპირებსო.

დ) საომრად ხომ არ გვიწვევსო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. ალი-ზადეს რა თვისებაზე მიუთითებს მისი შეძახილი: *„არ ესროლოთ, ბიჭებო...“*?

ა) თავშეკავებულობაზე.
ბ) დიდსულოვნებაზე.
გ) სიმამაცეზე.
დ) უანგარობაზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. რა გაუხარდა ირიდის?

ა) ბრძოლის განახლება რომ არავინ მოინდომა.
ბ) მტრის გაბედულება სხვებმაც რომ დააფასეს.
გ) გერმანელს გაბედულება რომ არ დაუფასდა.
დ) უფროსის ბრძანებას რომ არავინ დაემორჩილა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. რა მხატვრული საშუალებაა *„კიბორჩხალებივით დაბრაწულები“*?

ა) ალუზია.

ბ) შედარება.

გ) ეპითეტი.

დ) გაპიროვნება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. ეროდის აზრით, რატომ დაიღუპა ალი-ზადე?

ა) რადგან ალი-ზადემ მოხერხებულობა ვერ გამოიჩინა.
ბ) რადგან ომი გულმოწყალე ადამიანებს არ ინდობს.
გ) რადგან ალი-ზადემ მტრის სიძლიერე ვერ შეაფასა.
დ) რადგან ომის დროს უყურადღებობა დამღუპველია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. რამდენად შესაძლებელია, რომ ადამიანმა ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს შებრალების უნარი.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.